საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030148772681118

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/21127 **13** / აპრილი / **2018 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 5 აპრილის N06/1653 წერილით შემოვიდა სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2018 წლის საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის პროექტი, რომელშიც ითხოვენ ცვლილებების შეტანას. საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნება ცენტრისათვის განსაზღვრულია საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში 3 150 000 ლარის ოდენობით, ხოლო საკუთარი სახსრების ფარგლებში - 264 000 ლარის ოდენობით. საკუთარი სახსრების ფარგლებში ცენტრის მიერ მოთხოვნილი ცვლილების შესაბამისად „შრომის ანაზღაურების“ მუხლი გაიზარდა 94 000 ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 358 000 ლარი, ხოლო სულ ჯამში საბიუჯეტო და საკუთარი სახსრების ფარგლებში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებულმა ასიგნებამ შეადგინა 3 508 000 ლარი. წარმოდგენილი პროექტით სახელფასო ფონდი შეადგენს 3 507 600 ლარს.

გიგზავნით სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2018 წლის საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის პროექტს საბიუჯეტო სახსრებისა და საკუთარი სახსრების გათვალისწინებით და გთხოვთ თქვენს მოსაზრებას.

დანართი „4“ ფურცელი

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი — ნოე ქინქლაძე